საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-927

27/09/2019

ქ. თბილისი

შპს „ცემექსპოზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების
შპს „მაგნუმ გრუპზე“ გადაცემის შესახებ

2019 წლის 16 სექტემბერს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ცემექსპომ“ და შპს „მაგნუმ გრუპმა.“ შპს „ცემექსპომ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „მაგნუმ გრუპზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „მაგნუმ გრუპის“ ცემენტის წარმოებაზე (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) გაცემულია №08 (26.02.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-889 (13.09.2019) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ცემექსპოს“ ცემენტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „მაგნუმ გრუპს“;
2. შპს „მაგნუმ გრუპმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის №2-889 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მაგნუმ გრუპს“ და შპს „ცემექსპოს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაგნუმ გრუპს“ და შპს „ცემექსპოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი